№ 95 მაისი 6, შაბათი

1889

მაისი 6, შაბათი № 95

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: [illegible] ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 მაისს.

კვირას, 7 მაისს

მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

## სეირნობა

და

## ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ. ღირება.

დაწვრილებით აფიშებშია გამოცხადებული

„გამგე კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა" უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის წევრთა და აგრეთვე წევრთა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", საზოგადოების წესდების მე-7 §-ის ძალით, მობრძანდნენ წლიურს საზოგადო კრებაზედ ამ 1889 წლის მაისის 6, საღამოს 6 საათზედ, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ სათავად-აზნაურო სკოლისა.

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

3) სახლის მოპოვება სკოლის საკუთრებად.

4) გამგე კომიტეტის თავმჯდომარის აღრჩევა ნაცვლად კონსტანტინე ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისა, რომელიც ათზედ მეტი წელიწადია, რაც ემსახურება საზოგადოებას ამ თანამდებობაზედ, და რომელმაც განაცხადა სურვილი დაეთხოვოს ამ თანამდებობას.

5) ზოგიერთნი ცვლილებანი, რომელიც უნდა მოჰხდეს 1881 წლის წესდების მუხლთა შესახებ. 1—1

ტფილისი, 5 მაისი

სწორედ უბედურს ეტლზეა გაჩენილი ივრის-ხეობა, ანუ ესრედ წოდებული გარე-კახეთი. ეტყობა, ამ ქვეყანას ბედმა ის არ აკმარა, რაც განსაცდელი გამოიარა ძველად, რაც ვაი-ვაგლახი აიტანა წარსულში. ბედი დღესაც მოსვენებას არ აძლევს, რომ ეხლა მაინც თავისუფლად ამოისუნთქოს და მშვიდობიანი ცხოვრება იგემოს.

მართლაც, ძველად, როცა ათასი მტერი ზედი-ზედ ეტანებოდა საქართველოს, მტარვალნი პირველად სამხრეთს საზღვრებს შემოესეოდნენ ხოლმე, რადგან სამხრეთისკენ ქვეყანა დაფარული არ იყო ბუნებით. სპარსნი, არაბნი, მონგოლნი ივლიდნენ, ივლიდნენ და მოედებოდნენ ჩვენს სამხრეთ საზღვრებსა, გასტეხდნენ მოსაზღვრე მკვიდრთა ურჩობას, შემუსრავდნენ მოწინავე რაზმებს და მერე მთელს ქვეყანასაც მოედებოდნენ. არაბნი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მკვიდრობდნენ საქართველოს სამხრეთად. მონგოლთა ურდონიც იქ ბინადრობდნენ და იქიდამ სცემდნენ შიშის ზარს ქვეყანას.

რასაკვირველია, უფრო მომეტებულად იჩაგრებოდნენ ისინი, ვინც სამხრეთს საზღვრებზე მოსახლობდნენ, ვინც ქვეყნის განაპირას სცხოვრობდნენ. შაჰ-აბასის დროს გარე-კახეთი რამდენჯერმე იქმნა აკლებული და რამდენიმე სოფელი გადასახლებული სპარსეთში, სადაც დღესაც არის ქართველების ახალშენები, რომელსაც გარე-კახეთის სოფლების სახელები ეწოდება: მარტყოფი, ნორიო და სხვ. სპარსეთმავე გაამაჰმადიანა განაპირა ნაწილი ჩვენის ქვეყნისა საინგილო და ოსმალომა კიდევ ბოლო მოუღო ერთს უკეთესს თემს საქართველოსას, ძველს მესხეთს, რომელიც გამაჰმადიანებულ იქმნა და რომელსაც დაავიწყეს თავისი სახელოვანი წარსული და დიდებული მოღვაწეობა მესხეთის წარჩინებულ მამულიშვილთა.

გარე-კახეთსაც საზოგადოდ და ივრის-ხეობასაც კერძოდ ასეთი გამუდმებული შეწუხება ადგა მთელის ჩვენის ისტორიის განმავლობაში. ეს შეწუხება და მოუსვენრობა უფრო მაშინ გაძლიერდა, როცა მოსამზღვრედ ჩათესლდნენ სხვა-და-სხვა მტერთ შემოსევის დროს დამთენილნი ელნი მომთაბარე თათრებისა და როცა აქ დამკვიდრდნენ სხვა-და-სხვა ბარბაროსები, მყუდრო ცხოვრებას შეუჩვეველნი და მხოლოდ ცარცვა-გლეჯაზედ გაფაციცებულნი. მას უკან დაიწყო წამება გარე-კახეთისა და უფრო-კი ივრის-ხეობისა. მაშინაც-კი, როცა არა თუ ამიერ-კავკასია, არამედ მთაც-კი დამშვიდდა, როცა გარეშე მტერი აღარსად იყო და ყველამ მყუდრო ცხოვრებას მიჰყო ხელი, ივრის-ხეობაში ჰქუხდა და გრიალებდა თოფი, იღვროდა სისხლი და ისმოდა გლოვა-ტირილი დაჭრილთა და დახოცილთათვის. წელიწადი-კი არა, ისე თთვე არ გავიდოდა, ხან კვირაც, რომ ჩხუბი, კეტის ტრიალი და თოფის სროლა არ ატეხილიყო ქართველ ივრის-ხეველებსა და მათ მოსაზღვრე თათრებ შორის. მიზეზი ჩხუბისა, წაკიდებისა ბევრ ნაირი იყო და არის დღესაც ამ ორ მეზობელთა შორის, რომელთაგანაც ერთი მხნე, გამრჯელი, მშვიდობის მოყვარე, მხვნელ-მთესველი ხალხია და მეორე—მომთაბარე, ცარცვა-რბევის მოყვარე, მტარვალი და ბარბაროსი ხალხი, ათადამ-ბაბადამ მხოლოდ ტაცობითა, თარეშობითა და სხვის მონაგარით, სხვის ოფლითა და ქონებით ცხოვრების მოსურნე.

წარსულის თთვის დამლევსაც, სახელდობრ აპრილის ოცსაც, სწორედ ერთი ასეთი მიზეზი ჩამოჰქრევიათ თათრებსა და ივრის-ხეველებს, განსაკუთრებით გარეჯელებს. ატეხილა ნამდვილი ომი, ჯერ კეტების ტრიალი და მერე თოფების სროლა. ნაომარზედ ერთი მოკლული თათარი დარჩენილა და სამიც დაჭრილი გარეჯელი გლეხ-კაცი. კარგია კიდევ, რომ პირველში თოფებს მებრძოლნი ჰაერში ისვროდნენ ერთმანეთის შესაშინებლად, თორემ დაჭრილნი და დახოცილნი რატომ ათი და ოცი კაცი არ იქნებოდაო, გვწერს კორრესპონდენტი.

აი ასეთს ამბებში არიან მუდანდელი თათრები იორზედ და არ იქმნა იმათი დაცხრომა და დაწყნარება. ამ თათრების ბინები სწორედ ავაზაკთა ბუნაგია, იქიდამ გამოდიან მრავლად ავაზაკები და დანავარდობენ ხან მტკვარ-გაღმა ბორჩალო-ყაზახისაკენ და ხან გამოღმა—გარე-კახეთისაკენ, საცა ხშირად შარა გზებსაც-კი შეჰკვრენ ხოლმე, აჩერებენ სადუსტო ეტლებს, ფურგონებს და არხეინად სცარცვავენ გზად მიმავლებს.

ამ საგანს ადმინისტრაცია მუდამ დიდს ყურადღებას აქცევდა, თვალყურს ადევნებდა თათრების ბინებსა და სოფლებს და უმოწყალოდ სდევნიდა მათში ავაზაკობას. მაგრამ, როგორც ეტყობა, ავაზაკობა, მოუსვენრობა მათი მეორე ბუნებაა, ცარცვა-გლეჯის ჟინი ძვალსა და რბილში გასჯდომიათ და მარტო საპოლიციო ღონის-ძიებით და საადმინისტრაციო გზით ძნელია ბრძოლა ასეთ ფესვ-გადგმულ ბოროტების წინააღმდეგ საქართველოს სამხრეთ მიჯნებზედ. მხნეობა ადმინისტრაციისა, გამბედაობა სამაზრო მოხელეთა და

# ფელეტონი

## ბაგრატ ზახარიჩის სიკვდილი

მოკვდა, გამოესალმა ამ უპირო სოფელს ცხონებული ბაგრატ ზახარიჩი. ეჰ, მადლობა შენთვის, უფალო! გააჩენ, შე დალოცვილო, კაცსა, გაა-ბედნიერებ და ბოლოს ისევ ამოაშხამებ. რას მოიფიქრებდა, ან-კი სად ეცალა ეფიქრა საწყალს დამსახურებულს მოხელეს ბაგრატ ზახარიჩს, რომ ერთხელაც იქნებოდა უნდა მომკვდარიყო... ბაგრატ ზახარიჩი, მართალია, მკვდარია, მაგრამ იმის პირისახეს რიხი და ეშხი მაინც არ დაუკარგია. მისი დიდრონი, დაწითლებული თვალები საუკუნოდ დაიფარნენ დაჭმუჭნულ, სქელ ქუთუთოებით. დიდრონი, გაჭაღარებული, სწორედ სტატსკი სოვეტნიკის შესაფერი ბაკენბარდები გულზედ აწყვია ორ-თითიეით გადაჯვარედინებულის ხელებს ზევით. გაფარჩხულს, სქელს ულვაშებს დაუფარია სიამაყისა და სიდარბაისლის გამომხატველი ტუჩები. ბაგრატ ზახარიჩი კუბოთი შუა ზალაში ასვენია, თავით და ფეხთით სანთლები უნთია, სანთლები, რომელთაც არც გლოვა იციან და არც ტირილი. იმათი მადლი მხოლოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალს და მკვდარს ერთ ნაირად უნათებენ. ბაგრატ ზახარიჩს, ხელებსა და ბაკენბარდებს შუა, ორი ვარდი უწყვია. ეს ვარდები მამის მოწყალებას მოკლებულმა ქალიშვილმა ნატაშამ უძღვნა საუკუნოდ გამოსალმებულს მშობელს, შიშით და კრძალვით დააწყო. მეუღლე მიცვალებულისა და მისი შვილები ფრიადა სწუხდნენ თავის ბატონ-პატრონის დაკარგვას, მაგრამ ხმით ტირილს-კი ვერავინ ჰბედავდა; იცოდნენ, რომ ხმა-მაღლობა ძლიერ ეჯავრებოდა ბაგრატ ზახარიჩს. ხმა-მაღლა ლაპარაკი და სიარული უწამლაედა გულ-გონებას, დაავადებდა, გულს გადმოუტრიალებდა, ტანში გააჟრჟოლებდა, თითქოს ესეს არის ეხლავე სული უნდა ამოჰხდესო. მუდამ ჩურჩულით საუბარს დაჩვეული ველარ ახერხებდა ხმა-მაღლა ლაპარაკს. ერთი თამამად შინ დააბიჯებდა ისიც როგორღაც წამოცდენით, იმიტომ უცებ ისევ შედგებოდა, მიიხედ-მოიხედავდა, კანცელარიაში ხომ არა ვარო. ბაგრატ ზახარიჩის ცოლი ელენე შევიდის თითის წვერებზე ოთახში, სადაც ესვენა მისი მეუღლე, დააცქერდის, ამოიოხრის და უკანვე გამობრუნდის. გულ-საკლავად განსვენებულის თავით დაეწყოთ მისი ორდენები, კედელზე ეკიდა შპაგა და მუნდირი, იქვე ეკიდა ბაგრატ ზახარიჩის ვარსკვლავიანი ქუდი, რომელნიც თითქოს დასცინიან თავის პატრონსაო, ისე გადმოიცქირებოდნენ. დიაღ, აქ ესენი იცინოდნენ და კანცელარიაში მწვანე სტოლი, რომელსაც ამოუჯდებოდა ხოლმე გვერდით ბაგრატ ზახარიჩი დიდრონის სათვალეებით ინდოურივით გაბღვერილი. ველარ ააბოლებდა სიგარას წუმწუმის ტკაცუნით, ველარ ააჭრიალებდა ქაღალდზე, მოუპოხელს ურმის ღერძივით, მჭრელს კალამს მთელი შვიდი საათი მუდამ დღე ჩაციებით და დაჟინებით. მოიშორა თავისი მტანჯველი მწვანე სტოლმა და იმიტომ უხაროდა. მართალია, იმანაც იცის, რომ ეხლა სხვა დამეპატრონებაო, მაგრამ ისე მკაცრად არ მომეპყრობა, როგორც ბაგრატ ზახარიჩი მეპყრობოდაო. დედამიწის ზურგზე სხვას არავის ისე არა სძულდა განსვენებული, როგორც ამ სტოლს. ან-კი რად უნდა სჯავრებოდათ? ვისთვის რა დაუშავებია?! ჭიანჭველასაც-კი ფეხს არიდებდა, რა არის თავის მეუფროსის წყრომა არ დაემსახურებინა. მთელი ოც-და-თოთხმეტი წელი ქ. ნ—ს ერთს სამართველოში მსახურებდა: 8 საათიდამ დაწყებული ვიდრე 3 საათამდე. დანიშნულს ვადას არ გადააცილებდა.. ბაგრატ ზახარიჩი ბედნიერად სთვლიდა თავის თავსა, მაგრამ ერთი ფიქრი სტანჯავდა მთელს სიცოცხლეში და ლოდიეით გულზე აწვა ეს ის ფიქრი იყო, რომ მის და კანცელარიის მეუფროსეს ალექსანდრე ნიკიტიჩს მიზეზი არაფერი მიეტანა და სამსახურიდამ არ დაეთხოვა. ამიტომ ბაგრატ ზახარიჩი, როგორც ქართველი კაცი, დარბაისელი იყო და უფრო კიდევ მომეტებულად იდარბაისლებდა თავს. ცოდნა, გარდა ანაბანისა, არაფერი ჰქონდა, რადგან არსად არ ასწავლეს მშობლებმა. ამას კარგად ჰგრძნობდა ბაგრატ ზახარიჩი და ამიტომ სცდილობდა ეს ნაკლი თავის კარგის ყოფა-ქცევით, სიჭკვიანით, და სიდინჯით შეევსო. როდესაც იგი სამსახურიდამ შინ დაბრუნდებოდა, მუდამ იმის ფიქრში და ზრუნვაში იყო, დღეს ხომ არაფერი დავაშავეო, ხომ არ დავახველე, ან უდროოდ ხომ არ ავსდექი, ან ხომ არ გავიცინეო... გარემოებამ, ადგილის დაკარგვის ზრუნვამ ეს კაცი სიცილსაც-კი გადააჩვია. აღარ შეეძლო ბაგრატ ზახარიჩს სიცილი. სიზმარში მუდამ ალექსანდრე ნიკიტიჩსა ჰხედავდა. ზოგჯერ ვითომ მრისხანედ ეპყრობოდა მეუფროსე ბაგრატ ზახარიჩს და ზოგჯერ-კი მოწყალებით. ორივე შემთხვევაში ცრემლებსა ჰღვრიდა—პირველად სიმწარისას და შებრალებისას და მეორე შემთხვევაში სიტკბოებისას. აი რა ჯურის სიზმრებსა ჰხედავდა ბაგრატ ზახარიჩი: სადილად სხედან ვითომ ბაგრატ ზახარიჩი, ალექსანდრ ნიკიტიჩი და მოხელეთა კრებული. მეუფროსე პირველად ბაგრატ ზახარიჩის სადღეგრძელოსა სვამს. „ჩინოვნიკები" ჩურჩულს ასტეხენ და შურის თვალით უცქერიან ბაგრატ ზახარიჩსა. იგი თავის მხრით ერთი ათად იბერება, თავს იწონებს. ალექსანდრ ნიკიტიჩი საჯაროდ აცხადებს. სიტყვას ეუბნება ბაგრატ ზახარიჩს და სხვათა შორის იმედს აძლევს: „я ваши заслуги никогда не забуду"-ო. მაგრამ ხანდახან ეშმაკი აეკვიატებოდა ხოლმე ბაგრატ ზახარიჩის სიზმარს და მოუწამლავდა სიცოცხლეს. რამდენს ხვნეშა-კვნესაში იყო ხოლმე. საცოდავი, მანამ გაიღვიძებდა, გამოირკვეოდა და გაიგებდა, რომ სიზმარში ვარო, ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც მისი სიზმარი შავს ფერს დაიდებდა, ალექსანდრ ნიკიტიჩი მრისხანედ, შუბლ-შეკრული თავზე დაადგებოდა და ეტყოდა: „сдать всѣ бумаги, подайте прошеніе". ეს საშინელი სიზმარი იყო ბაგრატ ზახარიჩისათვის.

თავ-გამოღება მაზრის უფროსთა, რომელთა შორის, ჩვენდა სასახელოდ, უფრო ჩვენებური, აქაურნი მკვიდრნი არიან ხოლმე, რასაკვირველია, საქებურნი და ყოვლად მოსაწონი, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. საჭიროა ისეთი ღონე, რომელმაც უნდა მიაჩვიოს თათრობა მოსვენებულს, დამშვიდებულს ცხოვრებას, მუდმივ წარმოებას, მოქალაქობას, გონივრულსა და კულტურულს ცხოვრებას.

დღეის-დღეობით-კი, როგორც ჩვენი კორრესპონდენტები იწერებიან, დიდს სარგებლობას მოუტანს ამ მხრივ ისეთი მხნე და გამოცდილი მაზრის უფროსიც, როგორიც არის თ. ლევან ჯანდიერი, რომლის დიდი იმედიცა აქვს ამ საქმეში მთელს ივრის-ხეობასა და რომელმაც ერთს სხვა დიდს სატკივარს ამ ხეობისას ისე სასწრაფოდ დაადო წამალი და უხიდობით ბევრჯელ და ათას ნაირად დაზარალებულსა და შეწუხებულს ქვეყანას ხიდის-მოწერითა და განაჩენების დადგენით ორისა და სამის დღის განმავლობაში გადაადებინა ამ საქმისათვის 15,000 მანათამდე ნაღდი ფული და აქტვირთებინა მუშაობა ხიდის გასაკეთებლად.

მანვე მიაქცია ყურადღება ივრის-ხეველებში თათრების მეზობლობით, მათის ქურდობითა და ცარცვა-რბევით შერყეულს გრძნობას სამართლისას, რაიცა უველაზე დიდი უბედურებაა, რადგან შერყეული გრძნობა სამართლიანობისა ამხობს ხალხის ზნეობასა და სულით აუძლურებს ერს...

გ. ყ.

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ დაიწყო წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა, მაგრამ რადგან საჭირო იყო შემოწმება წევრთა სიებისა და რწმუნების ქაღალდებისა, ამიტომ განხილვა საგნებისა გადაიდო სადღეისოდ, 12 საათისათვის, შემდეგ პარაკლისისა, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღის გამო იქმნება გარდახდილი.

⁂ გუშინ, 5 მაისს, წაბძანდა ტფილისიდგან ჩვენი დიდებული სტუმარი, სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი. დილის ხუთს საათზედვე მთელი ჩვენი პოლიცია ფეხზედ იდგა. გზები, რომელზედაც მის უდიდებულესობას უნდა გაევლო, სავსე იყო ხალხით. გოლოვინის პროსპექტის ორივ მხრივ და ოლგას ქუჩაზედ გამწკრივებული იდგნენ მოსწავლენი იუნკრების სასწავლებლისა, ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიისა მუსიკებითურთ, მინგრელსკი პოლკი, ვლადიკავკაზისა მუსიკითურთ,ე და ოლგას ქუჩაზედ-კი ოთხი მსროლელთა ბატალიონი. დილის რვა საათზედ სასახლეში მივიდნენ წარჩინებულნი კაცნი, გენერლობა, ყველა ელჩები, სამხედრო და სამოქალაქო უწყების წევრნი, კორპუსების უფროსები და სხვანი. ქუჩები ამ დროს ისე იყო შეკრული, რომ ნემსის ყურწი არსად ჩაეარდებოდა. ამ ხალხში უმეტესობა იყო ტფილისის მუსულმანობა, რომელნიც საუკეთესო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი და ზედ ჩაეცვათ რაც-კი ჰქონოდათ. ესენი უფრო განსაკუთრებით სასახლისკენ მიიწევდნენ, რომ ერთი კიდევ შეეხედნათ ირანის მბრძანებელ შაჰინ-შაჰისთვის და გამოსთხოვებოდნენ.

ცხრის ნახევარზედ მოვიდნენ ყაზახები და გუნიბის მოედანზედ უკვე იდგნენ ჟანდარმები. სწორედ ცხრა საათზედ მისი უდიდებულესობა ნასრ-ედინ შაჰი გამოეთხოვა ყველას, უმადლესი მადლობა გამოუცხადა თ. დონდუკოვ-კორსაკოვს კარგის მასპინძლობისათვის, გამოვიდა სასახლიდგან და ჩაბრძანდა ოთხის ცხენით შებმულ ეტლში. მისის უდიდებულესობის გამოსვლისათანავე გუნიბის მოედნიდგან აუშვეს სანიშნებელი შუშხუნა და თითქმის იმავ წუთს არსენალიდგან მოისმა 21 ჯერ ზარბაზნის სროლა. ეტლამდე მისი უდიდებულესობა მიაცილეს თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა, გენერლობამ და სხვათა წარჩინებულთა. შაჰის ეტლს წინ მიუძღოდა სხვა ეტლი, რომელშიაც იჯდა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი, ბ-ნი ბოგუცკი, თანაშემწეთურთ; შაჰს ეტლს შემდეგ მიჰყვებოდნენ სპარსეთის მინისტრები და სხვა წარჩინებულნი, ამათ ეტლით მისდევდა ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი როსსინსკი და ჟანდარმები. შაჰის ეტლის წინ მიდიოდა რამდენიმე ყაზახი მთავარ მართებლის დროშით. მისის უდიდებულესობის გავლის დროს ჯარმა და მოსწავლეთ ერთად დაუკრეს მუსიკაზედ სპარსეთის საერო ჰიმნი.

შაჰის ბარგი გუშინვე იქმნა გაგზავნილი კავკავში. ამ ბარგმა სულ სამოც-და-თხუთმეტი ადგილი დაიჭირა და ამათში თვრამეტი სკივრი მარტო სულ ორდენები იყო. შაჰისათვის საგზაოდ სულ 1246 ცხენია დამზადებული. გუშინ მისმა უდიდებულესობამ სადილი მიირთვა ფასანაურში, ხოლო დღეს, 6 მაისს, დილის 8 საათზედ, წაბრძანდება კავკავს და ამ ქალაქში საღამოს შვიდს საათზედ მივა.

⁂ ხუთშაბათს, 4 მაისს, როცა მისი უდიდებულესობა შაჰი ნასრ-ედინი გიმნაზიაში ბრძანდებოდა, ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიის კაპელმეისტერმა ბ ნმა კუნკელმა მიართვა შაჰს ნოტები „La rêve“ (ოცნება - ზმანებანი) ნოტები შეკრულია მშვენიერის ყდით, რომელზედაც ფრანგულადა სწერია: მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს ნასრ-ედინს სახსოვრად მისის მობრძანებისა გიმნაზიაში 4 მაისს 1889 წელს. ტფილისი.

⁂ ხვალ, 7 მაისს, ნაშუადღევის ორსამ საათიდამ დიდი სეირნობა და ლატარია-ალლეგრია დანიშნული «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ მუშტაიდში. ორჯელ იქმნა ასეთი სეირნობა და ლატარია გამართული, და ორჯელვე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ორჯელვე დიდი სიამოვნება და გართობა ნახა დამსწრე საზოგადოებამ. იმედია, წელსაც, არა თუ ნაკლები, ერთი-ორად უფრო მეტი საზოგადოება დაესწრება, მით უმეტეს, რომ სეირნობის გამმართველნი ადრევე შეუდგნენ მზადებას, ლატარიაში ჩასაგდები ნივთები ბლომად მოიპოვეს და შუშხუნებისათვისაც ადრევე დაიჭირეს თადარიგი.

⁂ ქაგგაგი: გობრონ პავლეს ძემ საბინინმა უძღვნა კავკავის ქართულ სკოლის წიგნთ - საცავს მის მიერ დაბეჭდილი წიგნი: „საქართველოს სამოთხე“, რაისათვისაც მეურნე კომიტეტი ამა სკოლისა უცხადებს ამასთანა ძვირფასის შემოწირულობისათვის ბატონს საბინინს უმდაბლესს მადლობას.

⁂ ორხევი: 30 აპრილს მოხდა შემდეგი უბედურება: სოფ. თაქლაში ამ დღეს იყვნენ ჩაფრები ხიდრეეი და სამნიც სხვანი, რომელნიც აქაურ მამასახლისს ხარჯის შეკრებაში ჰშველოდნენ. ესინი სტუმრად დაჰპატიჟა ერთმა მემამულემ. სადილს წინად ხიდრეევი წავიდა ახლო მდებარე ბოსტნიდამ ხახვის მოსატანად. აქ მებოსტნემ დაუწყო აურზაური, მერე იძრო ხმალი და ხიდრეევის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ამან ხელი დაუჭირა და ხმალი ველარ იხმარა. მებოსტნე ხიდრეევის ხანჯალს წასწვდა მარცხენა ხელით, ამოაძრო და ყურის წვერი წაჰკვეთა. გაჯავრებულმა ხიდრეევმა თოფის კონდახით ცემა დაუწყო ისე, რომ მებოსტნემ იქვე სული განუტევა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ აფხაზეთი: სოხუმს ახლო სოფელს ალექსანდროვკაში ორ-კლასიანი სასწავლებელი უნდა გაიმართოს. ამ სკოლის გამართვა სოფლელებმა ხელმწიფე იმპერატორსა სთხოვეს, როცა მისი უდიდებულესობა აფხაზეთში ბრძანდებოდა.

⁂ სოხუმი: ზამთარში წვიმისა და თოვლ-ჭყაპისაგან მოსვენება არ გვქონდა. ახლა კი [illegible] მა არ გვინახავს [illegible] თუ კიდევ ასე გასტანა, ნათესები [illegible] და დაუთესელი ადგილები ეღარ დაითესება.

⁂ იქადამვე: შარშან დიდი თუთუნი მოვიდა აქ და ფასი-კი ძალიან ნაკლები ჰქონდა. თუ ამ გვარად წავიდა თუთუნის წარმოების საქმე, სულ მოისპობა იმისი მოყვანა.

⁂ ბათუმი: ძალიან ამბებშია აქაური ქართველობა: იკრიბება და იკრიბება ფული სხვა-და-სხვა სამადლო სსქმეებისთვის. ჩვენის საქართველოს სხვა კუთხეებიც რომ ასე გულ-უხვად იძლეოდნენ გროშებს, სწორედ ზღვა ფული შეიკრიბებოდა. აგერ ერთს ქაღალდი დააქვს და აგროვებს ფულს ძველის - ძველ საისტორიო ნაშთის განსაახლებლად; მეორე აგროვებს ფულს ქუთაისის წმინდა გიორგის ეკკლესიის შესაკეთებლად; მესამე — გურიის ქართველთა ქვეითა ჯარის სამუსიკო ხოროს შესადგენად და მოსართავად. აგერ აქაურმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. შემოსავალი დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბათუმის სკოლის სასარგებლოდ და იმ საქალებო სკოლისათვის, რომელსაც ჩვენი განათლებული მანდილოსნები ჰმართავენ ტფილისში. სცენის მოყვარეთა მიერ გამართულმა წარმოდგენამ, სამწუხაროდ, ბევრი ხალხი ვერ მოიზიდა. ითამაშეს „ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსა“ და „გულმა იგრძნოს“. არც საგანმა, რისთვისაც წარმოდგენა გაიმართა, არც იმან, რომ სცენის მოყვარეთა შორის ერია იმისთანა ნიჭიერი მოთამაშე არტისტ-ქალი, როგორიც არის ეფ. ს. მესხისა, არ გასჭრა, რომ ხალხი ბევრი ყოფილიყო წარმოდგენაზე. ამას ისიც დავუმატოთ, რომ სცენის მოყვარეთა შორის ხამი არავინ ერია და სულ გამოცდილი მოთამაშენი იყვნენ.

---

ეხლა ბაგრატ ზახარიჩმა მოისვენა, მოაჩა იმოდენა ვაებას ალარავისა ეშინიან. რიხი კიდევ შეჰრჩენია იმის პირი-სახეს, მაგრამ რა გამოვიდა? მიწამ უნდა შეჭამოს მისი რიხიცა და პატივსაცემი ბაკენბარდებიც თანა. მუნდირსა და შპაგასაც გაჰყიდიან, და მწვანე სტოლსაც სხვა ვინმე ამოუჯდება გვერდზე.

ბაგრატ ზახარიჩის ცხედარის განსასვენებლად მოვიდნენ მისნი ნაცნობნი და მრავალი მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვეს იმის საფლავზე. თუ სიმართლეს ვიტყვით, იმდენად არავის ებრალებოდა ბაგრატ ზახარიჩი, რამდენადაც თვითეული ორატორთაგანი სცდილობდა მჭევრმეტყველობა გამოეჩინა.

აქ მოვიყვან მხოლოდ ალექსანდრე ნიკიტიჩის სიტყვას, რადგან იმის სიტყვა ყველა იქ წარმოთქმულს სიტყვებზე მგრძნობიერი და შინაარსიანი იყო. სიტყვა რუსულად წარმოითქვა და ჩვენ-კი ვეცდებით ქართულად გადავცეთ მკითხველებს.

— ბატონებო, — სთქვა ალექსანდრ ნიკიტიჩმა გაქუცულ წარბების აჭიმვით: — დღევანდელი დღე ჩვენთვის დიდად სამწუხარო და სამგლოვიარო დღე არის. ჩვენ დავკარგეთ დიდად სასარგებლო მოხელე, მოხელე არაუბრალო, არამედ დიდის ნიჭის პატრონი... მისი ნიჭიერება ყველაფერში სჩანდა. სულ ოც-და-თორმეტი წელიწადია, რაც ბაგრატ ზახარიჩი მსახურობს, ოცი წელი-კი ერთად ვმსახურობდით მე და ცხონებული და ერთხელ სიტყვა არ შემოუბრუნებია ჩემთვის, პირდაპირ ცქერასაც-კი ვერ მიბედავდა, რადგანაც მე უფროსი ვიყავი; იმიტომ წინ წაიწია, მთავრობამაც იმიტომ ღირსეულად დააფასა ეს საკვირველი კაცი. ვიპოვნით და თუნდ ამის ხასიათის კაცს ოდესმე? ეღირსება-ღა ჩვენი კანცელარია ბაგრატ ზახარიჩისთანა მოხელეს? მე ვამბობ: არა და არა. არა მარტო ჩვენი კანცელარია, არამედ ცხოვრებაშიაც-კი ველარაფერს ვნახავთ მიცვალებულის მსგავსსა. იგი სწორედ შეზავებული ცხვარი და ანგელოზი იყო, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ, — და თან წმინდა საამური საკმლის სუნი მოსდიოდა. ღრამატიკა, რომელსაც უპირველესი ადგილი უჭირავს განათლებაში საზოგადოდ და კანცელარიის კერაზე კერძოდ, ბაგრატ ზახარიჩისაებრ თქვენგანმა, ბატონებო, ნუ-კი გეწყინებათ, არავინ არ იცოდა... ბევრ გვარად ჯერ მე მიხსნიდა ხოლმე განსაცდელისაგან, უიმისოდ მე ქაღალდს არსად არა ვგზავნიდი. უნდა პირველად ბაგრატ ზახარიჩს წაეკითხა, დაესხა ნიშნები; მისი აზრი ღრმა იყო, მაგრამ მაინც კიდევ არ მედიდურობდა, იყო იგი უმდაბლეს ბალახთა და უმშვიდეს წყალთა. და ბოლოს თქვენთვისაც ვისურვებ ბაგრატ ზახარიჩისთანობას და განსვენებულის ჩემის ერთგულ მეგობრისათვის-კი ცხონებას, განსვენებას აბრაამის წიაღსა შინა.

დანარჩენთაც მოიგონეს ბაგრატ ზახარიჩის ღრამატიკის ცოდნა და მშვენიერი „პოჩერკი“. ერთმა მოხელემ მოიყვანა მაგალითი იმისა, თუ ერთხელ როგორ შესწუხდა, შეძრწუნდა და შეიძრა მთელი კანცელარია შესახებ ორის სიტყვისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩართული ალექსანდრ ნიკიტიჩის „ოტნოშენიე“-ში გუბერნატორთან. გაიმართა სასტიკი ბაასი შესახებ იმისა, როგორ უფრო მართალი იქნება, „буде возможно“, თუ „если возможно“-ო. ამაზედ ყველა გაზეთების რედაქტორებსა და გამოჩენილს მერუსულეებს დაეკითხნენ, მაგრამ უკანასკნელ სიტყვათა შეთანხმება ამჯობინეს. მხოლოდ ბაგრატ ზახარიჩმა „буде возможно“ ამჯობინა „если возможно“-სა და მას შემდეგ გაითქვა სახელი ღრამატიკის ცოდნისა.

დამარხეს ბაგრატ ზახარიჩი, მიაბარეს ცივს დედამიწას, თითო მუჭა მიწა მიაყარეს და გამობრუნდნენ. წავიდა, გაჰქრა ბაგრატ ზახარიჩი. აღარაფერი არ დარჩა მის მოსაგონებლად გარდა ძველის, შემჭვარტლულის ქაღალდებისა, რომელზედაც ეწერა ბოლოს „ბაგრატ ქავთარაშვილი“. გარდა ამისა ბაგრატ ზახარიჩმა თავის ცოლ-შვილს დაუტოვა ანდერძი. მანამ სულს დაჰლევდა, იმან დაიბარა თავისი მეუღლე ელენე.

— ჩემო საყვარელო ელენე, — ამბობდა თვალ-ცრემლიანი ბაგრატ ზახარიჩი, — მე ეგ არის გეთხოვებით, მივდივარ ამ სოფლიდამ. ჩემზე დიდი კაცი ბევრი მომკვდარა და, მადლობა ღმერთს, მეცა ვკვდები, ჩემზედაც სრულდება ნება უფლისა. ნუ დამივიწყებ, გენაცვალე, მომიგონე ხოლმე და აასრულე ეს ანდერძი. თუ ამას აასრულებ, მე მკვდარი არ ვიქნები, არამედ ცოცხალი. ხომ იცი, ჩემო ელენე, სამსახურიდამ რამდენ საათზედაც ვბრუნდებოდი. ჩემს საკუთარს სავარძელზე არავინ დაჯდეს, ნაშუადღევს სამს საათზე გამოიტანეთ ხოლმე ჩემი პორტრეტი და დაასვენეთ სავარძელზე, წინ ქაღალდები დაუწყეთ და თითონაც ისე მოაწყეთ პორტრეტი, რომ ქაღალდებში ჩაიცქირებოდეს. ფრთხილად, ფრთხილად ადექით და თითის წვერებზე გაიარ-გამოიარეთ, გეშინოდესთ, ხათრი გქონდეთ ჩემის პორტრეტისა, როგორც ჩემი ხათრი გქონდათ. ისე იფიქრეთ, ვითომ ცოცხალი ვარ.

ბაგრატ ზახარიჩს სიცოცხლის დროსვე უნდოდა ამ პოზით გადაღებულიყო, მაგრამ საცოდავი ველარ მოესწრო, არ იცოდა, თუ ზურგთ უკან ბრჭყალებ-გაშლილი სიკვდილი ედგა ამოტუზული ბაგრატ ზახარიჩის გასატაცებლად. იმისმა ცოლმა და ქალიშვილმა მხოლოდ ორს კვირას ასრულეს ეს ანდერძი, მერე კი დაანებეს თავი, იფიქრეს: სისულელეს ჩავდივართო. ნატაშა ორის თვის შემდეგ ერთს დრაგუნს გადაჰყვა და ელენემ-კი ფერ-უმარილის სმას მოუმატა პირი-სახეზე.

აი როგორ გათავდა ბაგრატ ზახარიჩის სიცოცხლე. მაინც სიჩუმე, მყუდროება უყვარდა და მიაღწია კიდეც თავის სურვილს, აუსრულდა გულის წადილი. მხოლოდ ქარი თუ შეაშფოთებს ბაგრატ ზახარიჩის მყუდროებას, როდესაც გრიალით გაივლის სასაფლაოზე და თან გაავლებს, გაიყოლიებს ქალაქის ჟრიამულს, ხმაურობას და მასთან ერთად კანცელარიის ქაღალდების შრიალს...

ვაჟა-ფშაველა

138

ეს გარემოება უფრო გვაკვირვებს, რომ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო წარმოდგენას. შემოსავალი ხარჯს გარდა 86 მანეთი დარჩა. აქედგან 30 მანეთი გაეგზავნება ტფილისის საქალებო ქართულის სკოლის დაარსებისთვის შემდგარს ქართველთა ქალის საზოგადოების მდივანს, დანარჩენი აქაურ ქართულის სკოლის სამზრუნველოს ხაზინადარს. წარმოდგენამ ურიგოდ არ ჩაიარა. ქ-ნებმა ჭოჭუამ, მღვდლიევისამა და მესხისამ თავიანთის თამაშობით საკმაოდ ასიამოვნეს მაყურებლები. თაოსნად ამ საქმეში მ. ი. ღლონტისა იყო.

*** ბათუმიდამგე: აქაურის რუსულის სკოლის მასწავლებელი, ბ-ნი ბაბილუა, უფასოდ ასწავლის ადგილობრივს სიმღერებს აქაურის ქართულის სკოლის მოსწავლეებს. აქაურის ეკკლესიის მგალობელთა ხოროს ლოტბარია ბაბილუა, სცდილობს როგორმე შეადგინოს ქართული მგალობელთა ხორო. ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეში!

*** იქიდამგე: არ იქნა, ვერ გადაეჩვივნენ ბათუმელი მაჰმადიანი ქართველები იმ უვარგისს ჩვეულებას, რომ ყველა ქაღალდზე ხელს აწერენ. კიდევ მოუწერიათ ერთს ქაღალდზე ხელი 35 მაჰმადიან ქართველს. კვლავ მოვაგონებთ ჩვენ მოძმე მესხელებს, რომ ამ გვარი მათი ქცევა არ არის შესაწყნარებელი და არც საკადრისია „დანოსებზე“ ხელის მოწერა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ივრის-ხეობა. მთელი ჩვენი ხეობაა ეხლა და იორზე ხიდის გაკეთების საქმე. უხიდობამ ჩვენს ხეობას ბევრი და აუარებელი ზარალი მისცა და საქმეს-კი მაინც დღემდე ხელი ვერ მოვკიდეთ. ახლა-კი როგორღაც იმედი მოგვეცა, რომ საქმეს თავი და ბოლო გამოებმის. აქ იყო ამას წინად ახლად დანიშნული ტფილისის მაზრის უფროსად ბ-ნი ლ. ჯანდიერი. მისი ქება, მხნეობა და ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა ადრევაც გაგვეგონა და ახლა ხომ ჩვენის თვალითაც დავრწმუნდით. პირველ მოსვლისათანავე ახალმა მაზრის უფროსმა ამ ჩვენს უმთავრესს სატკივარს მიაქცია ყურადღება, ყველა შეგვაერთა, ერთის სურვილითა და გრძნობით დაგვაკავშირა და აი შეუდექით ხიდის საქმესაც. ხეობამ დიდი გულ-უხვობა გამოიჩინა და თითოეულმა სოფელმა განაჩენით დაადგინა გაიღოს ხარჯი ამ საგნისათვის. ჯანდიერის თაოსნობის შემდეგ ხალხმა გამოაცხადა მხურვალე თანაგრძნობა. საქმე დაიწყო ხელის მოწერით, ვისაც შეეძლო, იმდენს ფულს სწირავდა, და უნდა მოგახსენოთ, არც ერთს შემთხვევაში მე ჩვენი ხალხი არ მინახავს ისე გულ-უხვი შეწირვისათვის, როგორც ახლა იყო. სოფ. ხაშმმა განაჩენით იკისრა ორასი თუმანი გაიღოს და ბევრით მუშაობა აღსთქვა. ამავე სოფელში მცხოვრებმა თ. ნ. ჩოლოყაშვილმა შესწირა ასი თუმანი და ხე-ტყის მასალა, რაც ხიდს მოუნდება. სხვებმაც შესწირეს წვრილ-წვრილად ოთხიოდე თუმანი. პატარძეულმა შესწირა სასოფლოდ სამასი თუმანი და ხვედრი მუშაობაც იკისრა. ძაგრამ ამას არ დაიჯერეს, ოჯახიშვილები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, გარდა ამისა კიდევ და კიდევ სწირავდნენ შეძლების დაგვარად: ვინ ათ თუმანს, ვინ რვას, ვინ ხუთს, ვინ ორს და ასეც შესდგა ოთხმოცი თუმანი—სულ სამას ოთხმოცი თუმანი. საგარეჯომ შესწირა 2,400 მან. და აზნაურებმა და სამღვდელოებამ კიდევ სხვა, გიორგი-წმინდამ ასი თუმანი, ნინო-წმინდამ სამოცი და ასე სხვა სოფლებმაც შეძლებისადა გვარად. მაგრამ მთელის ხეობიდგან გამოერჩივნენ გარეჯელი სომხები, რომლებმაც გროში ვერ გაიმეტეს ამ კეთილის საქმისთვის, თუმცა წყალში ფეხის დასველებას კატაზედ მომეტებულად ერიდებიან.

გ. გ—ლი

აფხაზეთი, აპრილის 30. როგორც უკვე მოგეხსენებათ „ივერიის“ მკითხველებს, აქ შარშან დიდის ქადაგებისა და მოძღვრების შემდეგ ორი ათასამდის განაჰმადიანებული აფხაზი მოინათლა. აფხაზნი ძრიელ არ ერიდებიან ქრისტიანობას და ყოველთვის ბევრი ყოფილა მათ შორის მსურველი ქრისტიანობის მიღებისა. მაგალითად ყველასაგან პატივცემულ გაბრიელ ეპისკოპოზს ცოტა აფხაზი არ მოუნათლავს თავის მღვდელ-მთავრობაში. რვა-ცხრა წლის განმავლობაში მან თვრამეტ ათასზე მეტი აფხაზი მონათლა.

ისე მონათვლა არ არის ამათი ძნელი, როგორც ნამდვილი მოქრისტიანება და განათლება. ამას დიდი დროც უნდა და დიდი ფულიც, მცოდნე და მოხერხებულ მასწავლებელთა გარდა. უამისოდ-კი მონათვლა მხოლოდ გარეგნობა იქნება და ნამდვილ ქრისტიანობას ვერ დაამყარებს პირველ-ყოფილ მცხოვრებთა შორის.

ამ დღეებში აქ ხმა გავარდა, რომ შემოდგომაზე ყველა ქრისტიანი, რომელიც-კი კანონიერის წლოვანებისა იქნება, ჯარში უნდა გაიწვიონო. მარტო მაჰმადიანნი განთავისუფლდებიან სამხედრო ბეგარისაგანაო. ეს ხმა, რასაკვირველია, ახალ დანათლულ აფხაზებამდესაც მისულა. ესენი ამდგარან და უფროსისთვის უთხოვნიათ: მართალია, მოვინათლენით, მაგრამ ნამდვილად-კი ქრისტიანობა არა გვსურს და ნება მოგვეცით ხელ-ახლა ძველი რჯული დავიჭიროთო. ამ საქმეს საჭიროა ფრთხილად მოეპყრონ. იმედია, ისინი, ვისაც დიდი პატივის-ცემა აქვს მოპოვებული აფხაზთა შორის, ეცდებიან და დააშოშმინებენ იმ აფხაზთა, რომელნიც ზემოხსენებულმა ხმამ შეაშფოთა.

ავაზაკობა ხომ აქ ქებული ხელობაა, მაგრამ ამ უკანასკნელს წლებში ძრიელ შემცირდა. ამის მიზეზად სთვლიდნენ სიმინდის კარგს მოსავალს და რიგიანს ფასს და კიდეც ამის გამო თითქმის ყველამ ხვნა-თესვას მიჰყო ხელი. წელს-კი ძრიელ ნაკლები გასავალი აქვს სიმინდს და შეიძლება აქაურნი მკვიდრნი ხელ-ახლა მიუბრუნდნენ თავიანთს ძველს ხელობას.

—

სოხუმის საპატიმროში რამდენიმე პატიმარია, რომელთა საქმეც უკვე გადაწყვეტილია. აქაურმა საპატიმროს კომიტეტმა იშუამდგომლა და ითხოვა, რომ ტუსაღთა უქმად ყოფნას უფრო კარგი იქნება, საქმე მივცეთ და მცირეოდენი ფულიც ვაძლიოთ მუშაობისათვისაო. ამ განზრახვით გამოჰყავდათ სამუშაოდ რამდენიმე კაცი და ამუშავებდნენ. 29 აპრილს ორმა პატიმარმა, რომელთაც ოთხი თუ ხუთი თთვე ჰქონდათ გადაწყვეტილი ციხე, დაჰკრეს ფეხი და გაიქცნენ. დღესაც არ იციან, სად გადიკარგნენ და სად მიიმალნენ გაქცეულნი.

X. X.

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

### საქართველოს კათალიკოზი ანტონი I.

კათალიკოზის ანტონ I ცხოვრებისა და შრომათა შესწავლა და დაფასება, როგორც სხვა მრავალ შესანიშნავ კაცთა, მომავალს დროს ეკუთვნის. ამისთანა კაცებზედ ყოველ ცნობათა გამოქვეყნება საზოგადოდ დიდს სამსახურს გაუწევს მომავალში იმას, ვინც ხელს მოჰკიდებს მაგ კაცთა ცხოვრებისა და შრომათა შესწავლასა და დაფასებას. ჩემს ხელნაწერებში ამოვკრიბე რამდენიმე, ჩემის ფიქრით, ახალი ცნობები (ხრონოლოგიურნი) ანტონ I-ზედ. აი ეს ცნობანი:

ანტონი დაიბადა 17 ოქტომბერს 1720 წელს *). ბერობა შეიმოსა გელათის მონასტერში 1739 წელს დეკემბერში. საქართველოს კათალიკოზად აღყვანილ იქმნა (შემდეგ ნიკოლოოზ ხერხეულიძისა) 1745 წ. ივლისში.

წერა „მზა მეტყველებისა“ დაუწყია 1750 წ. 1. ოქტომბერს და შეუსრულებია 1752 წ. მარტის 11. ამ დროს თვით კათალიკოზი ანტონი სწერს: 1. დაბადებიდგან ვარ 31 წლისა და 4 თთვისაო;

2. ბერობა რომ შევიმოსე, მას აქეთ 13 წელი და სამი თთვეაო;

3. რაც კათალიკოზად ვიმყოფები, მას აქეთ 7 წელი და 8 თთვეაო.

ანტონ კათალიკოზი 1752 წ. 11 მარტს აღნიშნავს შემდეგ შესანიშნავ კაცთა „მზა-მეტყველების ბოლოს:

1. ქართლის მეფეს თეიმურაზს II ირაკლის ძესა და დედოფალს ანნას;

2. კახეთის მეფეს ირაკლი მეორესა და დედოფალს დარიას, დადიანის ასულს.

3. ბატონიშვილებს: ვახტანგ და გიორგის ირაკლის ძეთა და ანნა და ელისაბედ თეიმურაზის ასულთა და თამარ ირაკლის ასულს.

4. სრულიად რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს და დიდსა თავადსა პეტრე თეოდორეს ძესა (ელისაბედის დისწულსა).

5. იმიერ ქართველთა მეფეს სოლომონ ალექსანდრეს ძესა.

6. მამათ-მთავრობასა პატრიარქთა—კონსტანტინეპოლში პაისიოსსა; იერუსალიმში სანატრელის პართენიოსისსა; ანტიოქიაში სანატრელისა სილიბისტროსსა; რომში ბენედიკტე XIსა (პაპა).

7. აბხაზეთის კათალიკოზსა ბესარიონსა (რაჭის ერისთავი).

უბრძნესთა ქართველთა სამეფოჲსა ადგილთა ძეთაგანთა:

1. ბესარიონს—აბხაზთა, მეგრელთა, სვანთა და იმიერ ქართველთა კათალიკოზ-მწყემსთ-მთავარს.

2. ტიმოთეს, მიტროპოლიტსა სამთავროსას და ვორისასა (გაბაშვილი).

3. არსენ არქიმანდრიტს (ბარათაშვილს).

4. ზაქარიას, მეფეთა მოძღვარს და თავის სულიერ მოძღვარსა და მამასა

5. ზებედე ხუცესსა, მეფე ვახტანგ VI აღზრდილსა.

6. ოსეს, ხუცესსა ტფილისის სიონისას.

7. მეფის ძესა ვახუშტის (თავის ნათესავსა) და მის ძეს იოანეს, რომელი აღიზარდა ფრიად სწავლულებასა შინა წ[illegible]რილსა ლათინთასა.

8. თავის ნათესავს, მეფის ძეს პაატას, რომელმან კეთილად უწყის გეომეტრია, რომელ არს მზაზველობა.

9. თავადს იოანე ორბელიანს, ქართლის მსაჯულთ-უხუცესსა.

10. თავადს დიმიტრი ციციანოვს, რომელი განისწავლა სიბრძნის მოყვარებასა შინა ენითა ლათინთათა.

11. მელქისედეკს, მეფის ვახტანგის მწიგნობართ-უხუცესსა (კავკასიძე).

12. ისააკ მცირესა, ერცელსა გონებითა.

„ესენი არიან უბრძნესნი ქართველთა შორის გამოცდილნი ფილოსოფოსობითა სწავლულებათა შინა, გარნა სხვანიცა მრავალნი და თანად ყოველნივე ბრძენნი და მეცნიერნი საღმრთოთა წერილთანი, არამედ ზემოხსენებულნი იგი სრულითა არიან გამოცდილ სიბრძნის მოყვარებითა“. ესე ათავებს ანტონი „მზა-მეტყველებას“, რომელიც დღეს იბეჭდება ყოვლად პატივცემულის ეპისკოპოსის ალექსანდრეს საფასითა და ჩემის კორრექტორობით. დაბეჭდილია 59 ფორმა, დასაბეჭდია 15 ფორმა, სულ 620 გვერდი გამოდის in f-ზედ ცოტა რამ ნაკლების ფორმატისა ხუცური დედანი, რომლიდგანაც იბეჭდება „მზა-მეტყველება“, გადაწერილია 1753 წ. სექტემბრის 2-ს ჯვარის მამის დეკანოზის იოანეს ხელით.

მღ. პ. კარბელაშვილი

30 აპრილს 1889 წ.

ს. გურჯაანი

*) განსვენებული პ. იოსელიანი ანტონის დაბადებას 1714 წ. აღნიშნავს. ეს შეცდომაა: 1, დავით რექტორს რამდენსამე წელს სხვა-და-სხვა იამბიკოებით მიულოცნია დაბადების დღე (17 ოქტომბერი) სამჯერ; ეს იამბიკონი ხელში გვაქვს. უკანასკნელი ეკუთვნის 1776 წ. 2, თვით ანტონი თავისს თავს ჰსთვლის 31 წ. და 4 თთვისას 1752 წ. მარტის 11-ს „მზა-მეტყველების“ ბოლოს.

## წვრილი ამბები

პარიჟისათვის შარშანდელ თოვლთან ერთად დადნა ბულანჟე, მიაგდო გენში ამ გენერალს და შეუშვირა ზურგი. ამ ჟამის დროის ბაბილონის მკვიდრნიც და გაზეთებიც ეხლა მხოლოდ ეიფელის კოშკზედ ჰლაპარაკობენ, ეიფელის კოშკზედ სჯიან, ეიფელის კოშკზედ ბაასობენ და თათბირობენ. თითქმის ყოველ დღე შეხვდებით პარიჟის გაზეთებში ეიფელის კოშკის ამბავს. „Figaro-“ს, მაგალითებრ, დაუქირავებია ერთი ნაწილი მეორე ბაქანისა და გაუმართავს იქ პატარა ქოხისებური ადგილი, სწორედ ისეთი, როგორიც rue Drauot-შია Figaro-ს სასხლე. ამ პაწია ქოხში ყველაფერი მომზადებულია თურმე იმისთვის, რომ პაწია გაზეთი იბეჭდებოდეს. იქვეა მოთავსებული მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინა, ადგილი თორმეტის ასოთ-ამწყობისათვის, სტოლი კორრექტორისათვისა და თანამშრომლებისთვის. ახალ გაზეთს ეწოდება „Figaro de la Tour Eiffel“-ი და ამისათვის ყველაფერი, ქაღალდს გარდა, კოშკშივე მზადდება თურმე. ყველა მნახველს ეიფელის კოშკისას ეძლევა ეს გაზეთი, რომელშიაც მოხსენებული იქნება იმისივე [illegible] დროს იყო კოშკზედ.

— ინგლისის გაზეთი „Trouth“-ი დაუჯერებელს ამბავს სწერს, ვითომ გერმანიის იმპერატორი პარიჟს აპირებს წასვლას მსოფლიო გამოფენაზე, მხოლოდ საიდუმლოებით-კი. მოსდებს ეს ამბავი, ასე რომ ბერლინში ეჭვსაც ვერავინ აიღებს, ვითომ იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმი პარიჟში იმყოფებაო. «Trouth»-ი ამას დასძენს, რომ ასევე მოიქცა ავსტრიის იმპერატორი ამ რამდენისამე წლის წინად, მთელი სამი კვირა სცხოვრებდა პარიჟში და არავინ-კი არ იცოდა იმის იქ ყოფნა; ყველას ასე ეგონა, რომ იმპერატორი მატიჩიის ციხე-დარბაზში იმყოფება და ნადირობით ირთობს თავსაო.

— „Figaro“ ამბობს, რომ პარიჟს მსოფლიო გამოფენაზედ მოელიან ინგლისის მემკვიდრე პრინცს ალბერტ-ვიქტორს, ბელგიის მომავალს მეფეს ბალდუინ ფლანდრიელს, გერმანიის იმპერატორის ძმას პრინც ჰენრიხ პრუსიელს, ჰერცოგის აოსტის შვილებსა და საზოგადოდ ბევრს პრინცს, შვეციიდგან დაწყებული საბერძნეთამდეო.

— ინგლისში კვლავ დაუწყიათ ზოლას და ბურჟეს რომანების დევნა. ამას წინად რამდენისამე წიგნის მეიდგვლისა და გამომცემლისათვის ჯარიმა გადაუხდევინებიათ ამ ორივ ავტორის თხზულებათა დაბეჭდვისა და გაყიდვისათვის.

— ახალგაზრდა ინდოელი ქალი, რუთმამაი, ლონდონში მისულა და განზრახვა აქვს თურმე დედათა სამკურნალო კოლეგიაში შევიდეს და ექიმობა შეისწავლოს.

— პარიჟში კიდევ ახალი რამ გაუგონიათ, ახალი რამ შეუდგენიათ. ეს ახალი გამაღვიძებელი ჯიბის საათია თურმე. თუ საათი მოამართეთ და საჭირო დროზედ დააყენეთ, საათიდგან დანიშნულს დროს გამოვარდება მავთული, ღონივრად ეტაკება საათის პატრონს გვერდში და შეატყობინებს თურმე, რომ სწორედ შენ მიერ დანიშნული დროაო.

— ამერიკელები, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან ახირებულნი ხალხნი არიან, ათას რასმე მოიგონებენ, ათას რასმე გამოატყვრენენ ხოლმე, მაგრამ ამ ჟამობაზედ-კი ამერიკელთა ახირებულობისთვის გადაუჭარბებია ამას წინად დრეზდენში გარდაცვლილს საქსონიის მცხოვრებელს, დიდს მოყვარეს, როგორც ანდერძის წერილიდგან ეტყობა, სიგარებისას. ეს კაცი თავისს ანდერძის წერილში ამბობს: ჩემის ქონების უმეტესი ნაწილი დრეზდენის ღარიბთათვის მიანდერძებია, მხოლოდ იმ პირობითა-კი, რომ ჩემ მიერ ნაანდერძევ ფულიდგან რაც სარგებელი შემოვიდეს, დრეზდენის ქალაქის თავმა იმით საუკეთესო სიგარები იყიდოს და დაურიგოს დრეზდენის იმ ღარიბ მცხოვრებელთ, რომელნიც სიგარას ეწევიან და კარგს სიგარას-კი თავის დღეში ვერ ეღირსებიანო.

— ამერიკელს ექიმს უტტენს გამოუკვლევია, როგორ უფრო კარგია ჯანისათვის რკინის გზით სიარულის დროს პირ-უკუღმა, თუ პირ-წაღმა ჯდომაო. ექიმს კარგად შეუსწავლია ეს საგანი, მგზავრებისათვისაც თვალ-ყური უდევნებია და ბოლოს ამბობს, რომ ძილის დროს მგზავრი რკინის გზის მატარებელში უეჭველად პირ-წაღმა უნდა იჯ-

დეს, რადგან მაშინ სისხლი წესიერად ჰმუშაობს ძარღვებში და დამინებულს მშვიდადა და სუბუქადა სძინავსო. პირ-უკუღმა მსხდომთ-კი ძარღვებში სისხლი წესიერად არ უმუშავებსთ და ხშირად თავის ტკივილი უტყდებათო.

— „Gaulois"-ის ერთი ენა-მახვილი თანამშრომელთაგანი, „Monsieur Gochet"-ი ამ გაზეთში აცხადებს, რომ ახალს პიესასა ვსწერ სარა ბერნარისათვისაო. პირველ მოქმედების დროს სარა სალონში გამოდის, აცხადებს, რომ ცხოვრება მომბეზრდაო და დანით ყელს იჭრის. ამ მოქმედებაში გამოჩენილს არტისტ-ქალს შეუძლიან დაგვანახვოს სიკვდილი სისხლითურთაო. მეორე მოქმედების დროს სარა მიდის მდინარეს ნაპირას, აცხადებს, რომ ფრიად მოწყენილი ვარო,ვარდება წყალში და იხჩობა ტალღებთან ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ. მესამე მოქმედება სასახლეში სწარმოებს. სარას ისე შეჰყვარებია სასახლის პატრონი, რომ თავს იწამლავს და დიდის მოხერხებით აჩვენებს მაყურებელთ მოწამლულის ტანჯვა-წვალებას. მეოთხე მოქმედება წარმოადგენს ღარიბს ქოხს. სარა მკერვალი ქალია. ქალს ნახშირი გაუღვივებია და თავს იკლავს ნახშირის სუნით. აქ შეუძლიან არტისტ-ქალს თავისი ნიჭი სულ სხვა გვარად გამოჰხატოს და სიკვდილი ახლა სხვაფრივ დაანახვოს მაყურებელთაო. პიესას ეწოდება სახელად: „მისი სიკვდილი". ავტორი აცხადებს, რომ იმედი მაქვს, სარა ბერნარის გემოვნებაზედ იქმნება ეს ჩემი ახალი ნაწარმოები დაწერილიო.

## დეპეშა

4 მაისი

პეტერბურგი. დღეს მოვიდა პეტერბურგს დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე.

ერევანი. უმაღლესი პატრიარხი ყოველთა სომეხთა, კათალიკოსი მაკარი დიდის ამბით მიიღო სპარსეთის შაჰმა. კათალიკოსმა სალამი მისცა შაჰს, ხოლო შაჰმა უბრძანა, რომ მე დიდად მიყვარს სომეხთ ერი და პატივსა ვსცემ ეჩმიაძინის საეკკლესიო ტახტსა. გმადლობთ კეთილის სალმისათვის. იმედი მაქვს დაბრუნებისას გნახავთ ეჩმიაძინში. იმავე დღეს კათოლიკოსის სანახავად წარსდგნენ სპარსეთის ყველა მინისტრები.

სტამბოლი. ოსმალეთს მოუვიდა ამბავი სოფიიდამ, რომ ბოლგარიიდგან სერბიაში გასული პანსლავისტობის აგენტები ადგენენ იქ საპოლიტიკო საზოგადოებას და საგნად აქვთ შესცვალონ დღევანდელი წეს-წყობილება ბოლგარიაშიო. საზოგადოებას საკმაოდ აქვს ფული და თავისი განყოფილებანი ბოლგარიაშიაც ეგულება. სერბიის მთავრობა ამ საზოგადოებას წინააღმდეგობას არ დაუწყებსო.

ბერლინი. იმპერატორმა მიიღო დღეს ქარხნების პატრონები და უბრძანა: ვურჩევ მთა-მადნების საზოგადოებათა უფრო მეტად დაუახლოვდნენ მუშებს და იზრუნონ, რომ მუშებს ხშირად შეეძლოთ თავიანთი სურვილი გამოაცხადონ ხოლმე. უფრო ის იქნება ჩემთვის ძვირფასი, რომ განხორციელებულს საქმეს ბოლო კეთილი ჰქონდეს და რომ მთა-მადნების საზოგადოებათა კრებულმა არას დროს არ დაივიწყოს უმთავრესი თავისი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. ეს ის მოვალეობაა, რომ მან უნდა იზრუნოს მუშების კეთილდღეობისათვის და ერიდოს ყოველსავე, რაიცა გაჭირებაში ჩააგდებს ერსაო.

გელზენკირხენ. მუშათა დელეგატების კრებაზე, რომელზედაც დაესწრნენ აქაურის არე-მარეს მთა-მადანთა მუშების დელეგატები, გადასწყდა, რომ კვირას, მუშათა დელეგატების შეკრებილებაზე ბოჰუმში ურჩიოთ ყველას, კვლავ დავიწყოთ მუშაობაო.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

| | [illegible] | გამყიდველისა. | მყიდველისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7½ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 148 87 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 13 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 271¼ | — „ | — „ |
| —მეორისა | 245¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპთ (1889) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
მაისი 31 დღით არის.

6 დღე შაბათი. წმ. და მართლისა იობ მრავლად-ვნებულისა. კათოლ. წმ. ბენედიქტესი. მაჰმად. მე-18 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—15. მთვარე 18 დღისაა.

7 დღე კვირა. ხსენება სასწაულისა ჯვარის გამოჩინებისა ქალაქსა იერუსალიმს; ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე ზედაძნელისა და თორმეტთა მოწაფეთა მისთა. კათოლ. წმ. ევროსინესი. სომეხ. დღესასწაული წმ. ჯვარისა. მაჰმად. მე-19 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—16. მთვარე 19 დღისაა.

8 დღე ორშაბათი. წმ. დიდებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. განცხადება წმ. მიხეილ მთავარ-ანგელოზისა. მაჰმად. მე-20 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—17. მთვარე 20 დღისაა.

9 დღე სამშაბათი. წმ. წინასწარ-მეტყველის ისაიასი; გადატანა ნაწილთა წმ. და საკვირ.-მოქმედ. ნიკოლოოზისა; ღირსისა მამისა ჩვენისა შიო მღვიმელისა. კათოლ. წმ. ნიკოლოოზისა. ესევე სომეხთაცა. მაჰმად. მე-21 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1860 წ.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—18. მთვარე 21 დღისაა.

10 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქ. სიმონ მოშურნისა. კათოლ. წმ. ისიდორესი. მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—რუსეთის მეფე ბორისი თხოულობს თავისის ძის თევდორესათვის მეუღლედ საქართველოს მეფის ასულს ელენეს და მეფის ძმისწულს ხოსროს მეუღლედვე თავისის ასულის ქსენიასათვის, 1605 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—19. მთვარე 22 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვალზე გემები.

## განცხადებანი


## ისყიდება

თეთრი და წითელი ღვინო

სოფელს ახალქალაქში. ღვინის გასინჯვა შეიძლება ყოველ კვირა-დღეობით. მსურველმა ადრესი ჩემი ჰკითხოს გრაკლის სადგურზე სადგურის უფროსს.

(4—3)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| ხრობა ან. ფურცელაძისა. | „ | 25 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | ,, | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, ბერძნ. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | ,, | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | ,, | 15 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. | „ | 10 |
| თამარიანი, გუგუნავასი | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი | 3 | |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. | 3 | 60 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |

ახალი ლამპარი „მონოპოლი".

მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას ამ საუკეთესო ლამპარს, რომლით ვაჭრობა მთელის რუსეთისათვის ჩვენა გვაქვს მონდობილი, და ამასთანავე დავსძენთ ჩვენთა ბ-ნ მყიდველ-მუშტართა საუწყებლად, რომ წრეულს ჩვენი საიარმუკო საწყობი ნიჟნი-ნოვგოროდში ძალიან გადიდებული და გაფართოებული იქმნება.

ნარდად სავაჭრო საწყობი

ლამპრებისა და ლამპრის სხვა-და-სხვა მოწყობილობის, ბოჰემიისა და ინგლისის ბროლის მინანქრიანი ჭურჭელი და სხ.

სავაჭრო სახლის

## დ. ფრიდბერგისა და ამხ.

მოსკოვი: ლუბიანკას, ვარსონოფიევის შესახვევში, მალცევსკის ამხ. სახლში.
ნიჟნეგოროდის იარმუკა: „ცარსკი" ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, ნაუმოვის სასტუმროს პირდაპირ. (3—2)

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ—რის ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოეს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრინვალდთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—18)


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Мая 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე